

შპს „ლაინკუბი“

დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის
დაბეგმვა/მოწყობის კონცეფცია

განმარტებული ბარათი



თბილისი 2012წ.

განმარტებითი ბარათი

დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვა/მოწყობის კონცეფცია

წინამდებარე განმარტებითი ბარათი მოცემულია დაცული ტერიტორიების რამოდენიმე ობიექტის დაგეგმვა/მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის. ამ ობიექტებს ქვემოთ განვიხილავთ ცალ-ცალკე.

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციული შენობის უკანა ფასადის და სასმელი წყლის რეზერვუარის შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავებისა და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა.

აღნიშნული ობიექტის დეფექტები შეეხება მთავარი შენობის უკანა ფასადის დაზიანებას სინესტისაგან და ამორტიზირებულ სასმელი წყლის სამარაგო ავზს. ინფილტრირებული სინესტისაგან უკანა ფასადის კედლის დასაცავად ჩვენს მიერ იგეგმება აღნიშნული ცოკოლის გაშიშვლება და მასზე ეფექტური ჰიდროიზოლაციის მოწყობა თანამედროვე მასალებით. ამის შემდეგ მოხდება დაზიანებული ფასადის მოპირკეთების რეაბილიტაცია. სასმელი წყლის სამარაგე ავზის რეაბილიტაციისათვის, ჩვენს მიერ წინასწარ იგეგმება მისი შიდა ზედაპირის მორკინვა-ცემენტაცია და შემდგომი ჰიდროიზოლაცია თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო მასალებით. აქვე იგეგმება აგრეთვე ახალი სახურავის მოწყობა სამარაგო ავზისათვის.

2. ლავოდხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო-შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავება და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა და საგამოყენო დარბაზის ინტერიერის დიზაინის პროექტის დამუშავება.

აღნიშნულ ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოები განიხილება ორ დამოუკიდებელ ნაწილად, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ ცალ-ცალკე.

- 2.1. ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო-შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავება და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა.

ტექნიკურ დავალებაში ჩამოთვლილი სარეკონსტრუქციო ღონისძიებების შესრულება, ვფიქრობთ, განხორციელდეს პირველ რიგში. კედლების და ტიხრების დემონტაჟი და ახლით შეცვლა განხორციელდება ეტაპობრივად, რათა არ დაირღვეს არსებული შენობის კონსტრუქციული მთლიანობა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდება მოპირკეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები. რეკონსტრუქციისა და შეკეთებისათვის, ვფიქრობთ, გამოვიყენოთ თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მასალები.

2.2. საგამოფენო დარბაზის დიზაინ-პროექტის დამუშავება

საგამოფენო დარბაზის დიზაინ-პროექტის დამუშავებისას, ვფიქრობთ, ძირითადი ყურადღება მივაქციოთ ექსპოზიციის განსათავსებელი კონტინერების მაღალმხატვრულ დონეზე დამუშავებას. რაც შეეხება საკუთრივ ინტერიერს, მისი მოსახვა, ჩვენი აზრით, უნდა შესრულდეს მეტ-ნაკლებად ნეიტრალური სახით, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს ექსპოზიციის და მისი განსათავსებელი ავეჯისა და აქსესუარების იერსახეს. ასევე ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ინტერიერის და ექსპოზიციის მხატვრულ განათებას.

3. თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციული შენობის შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავება და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა

აღნიშნული ობიექტის დეფექტები ძირითადად გამოწვეულია ნალექების არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან. ამ ზემოქმედებას ხელს უწყობს შენობის ნაკლოვანი მხარეებიც, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას პირველ რიგში. საჭიროა, შენობის წინა ბაქნის რეკონსტრუქცია შესაბამისი ქანობების დაცვით წყლის ეფექტურად გადაყვანისათვის. ასევე ვფიქრობთ, მოხდეს სახურავის დეტალების გადამუშავება და სპეციალური წყლის ამრინებლების მოწყობა ნალექებისაგან დასაცავად. ზემოთაღნიშნული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდება დაზიანებული მოპირკეთების რეაბილიტაცია. ვფიქრობთ, გამოვიყენოთ თანამედროვე, მაღალეფექტური და ნესტგამძლე მასალები და ლაქ-საღებავები.

4. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთათვის განკუთვნილი 17 ერთსართულიანი „ბუნგალოს“ ტიპის შენობის შეკეთება-რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობების უწყისის დამუშავება და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა.

ვფიქრობთ, ტექნიკურ დავალებაში მოცემულ ღონისძიებათა გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ადგილზე არსებულ დემონტაჟს დაქვემდებარებული მასალების მეორად გამოყენებას, განსაკუთრებით ხის მასალისას. გამოყენებამდე ისინი გადაირჩევა, გადამუშავდება. ხის მასალა დაიფარება ანტისეპტიკური, აალების საწინააღმდეგო ხსნარებით. შესაკეთებელი სამუშაოების წარმოებისას, ვფიქრობთ, გამოვიყენოთ მაღალეფექტური, ხანგამძლე და ექსპლოატაციის დიდი ვადის მქონე მოსაპირკეთებელი მასალები და ლაქსაღებავები. ახალი ტერასების მოწყობისას, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ყურადღება მივაქციოთ შენობებში ქვეწარმავალთა შეღწევის აღმკვეთ ღონისძიებებს.

5. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციული შენობის შესაკეთებელი სამუშაოების მოცულობების უწყისის დამუშავება და საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრა.

შენობის ძირითადი დეფექტები გამოწვეულია საძირკვლიდან ინფილტრირებული სინესტის ზემოქმედებისაგან. დეფექტის აღმოსაფხვრელად წინასწარ ვგეგმავთ საძირკვლების გაშიშვლებას და მათი ზედაპირების დაცვას მაღალეფექტური, თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო მასალების გამოყენებით. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება ფასადის და ინტერიერის დაზიანებული მოპირკეთების რეაბილიტაცია. ინტერიერში, ვფიქრობთ, მოეწყოს დუბლირებული თაბაშირმუყაოს მოსაპირკეთებელი ზედაპირი იატაკიდან 1,0მ-ის სიმაღლეზე.

6. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის №7 ეკო-საგანმანათლებლო ბილიკის ინფრასტრუქტურის განახლების დასაგეგმარებლად.

დასაგეგმარებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურა მოიცავს რამოდენიმე ობიექტს, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ ცალ-კალკე:

6.1 ეკოსაგანმანათლებლო საფეხმავლო ბილიკი

ბილიკი, ვფიქრობთ, დაგეგმარდეს გრუნტისაგან. უსაფრთხოებისათვის გაწმენდილ უნდა იქნეს საფრთხის შემცველი დაბრკოლებებისაგან. ციცაბო მონაკვეთებზე ბილიკები, ვფიქრობთ, მოეწყოს სერპანტინული სახის და მასზე

დაგეგმარდეს კიბეები. კიბეებისა და მოაჯირებისათვის გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი მასალები – ქვა, ხე და ა.შ.

6.2 საპიკნიკე ადგილი

საპიკნიკე ადგილი, ვფიქრობთ, დაგეგმარდეს ბუნებრივი მასალების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ შერწყმას ლანდშაფტთან. საპიკნიკე ალიჭურვება საცეცხლე ადგილით და სასმელი წყლის წერტილით.

6.3 ღია ამფითეატრი

ღია ამფითეატრი ეკოსაგანმანათლებლო ლექციებისათვის, ვფიქრობთ, დაგეგმარდეს ხის კონსტრუქციებისაგან, რაც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ შერწყმას ლანდშაფტთან.

6.4 პანორამული გადასახედი ქ. ბორჯომზე

პანორამული გადასახედი, ვფიქრობთ, შესრულდეს კონსოლური პლატფორმის სახით, რომელიც ერთდროულად 15 დამთვალიერებელს დაიტევს. მოპირკეთებისათვის გამოყენებული იქნება ძირითადად ხის მასალა. მზიდი კონსტრუქცია შესრულდება ფოლადისაგან.

7. ლაგოდების დაცული ტერიტორიების საველე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმარება

კომპლექსის ინფრასტრუქტურა მოიცავს რამოდენიმე ობიექტს, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ ცალ-ცალკე.

7.1 ეკოტურისტული ბილიკი შრომის ხეის ჩანჩქერამდე

ბილიკი, ვფიქრობთ, დაგეგმარდეს გრუნტის. ციცაბო მონაკვეთებზე ბილიკები მოეწყოს სერპანტინული სახით და ალიჭურვოს კიბის საფეხურებით. კიბის საფეხურებისა და მოაჯირებისათვის გამოყენებული იქნას ბუნებრივი მასალები – ქვა, ხე და ა.შ.

7.2 საპიკნიკე ადგილი

საპიკნიკე ადგილი, ვფიქრობთ, მოეწყოს ფარდულის სახით, რომელშიც განთავსებული იქნება მაგიდები საერთო რაოდენობით 40-50 ვიზიტორზე. საპიკნიკე ალიჭურვოს ბუხრით, ღია საცეცხლე ადგილით. მოსაპირკეთებლად გამოყენებულ იქნება ბუნებრივი მასალები.

7.3 საზოგადოებრივი საპირფარეშოები

საპირფარეშოები განთავსდება საპიკნიკე ადგილთან და ტურისტულ თავშესაფართან. მათი გეგმარებისას, ვფიქრობთ, ვიხელმძღვანელოთ „მწვანე“ არქიტექტურის პრინციპებით.

7.4 ტურისტული თავშესაფარი ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე

თავშესაფარი, ვფიქრობთ, დაგეგმარდეს ბანაკის სახით. ვიზიტორთა განთავსებას ვგეგმავთ კასრის ფორმის საძილე ნაკვეთურებში. გარდა საძილე ნაკვეთურებისა აქ განთავსდება საკვების მისაღები ფარდული ბუხრით და საცეცხლე ადგილით.

7.5 ავტოსადგომი ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე

ავტოსადგომი, ვფიქრობთ, მოიკირწყლოს ბუნებრივი ქვაფენილით (გრანიტის ან ბაზალტის). აქვე მოეწყობა განათების სისტემა და შესასვლელი შლაგბაუმი.

7.6 კიდული ღამის თავშესაფრები

კიდული ღამის თავშესაფრები, ვფიქრობთ, მოეწყოს ტრანსფორმირებადი სახის, მათი ადვილად გადასატანად. კარკასისათვის გამოყენებულ იქნება მსუბუქი, ალუმინის ელემენტები, ხოლო შემოზღუდვა განხორციელდება წყალგაუმტარი ქსოვილისაგან.

7.7 არსებული მეტეო-სადგურის შენობის რეკონსტრუქცია ტურისტულ თავშესაფრად

მომავალი ნაგებობის ლანდშაფტთან მაქსიმალური შერწყმის უზრუნველსაყოფად, ვფიქრობთ, შენობის ფასადი გადამუშავდეს და შესრულდეს ბუნებრივი კლდის სახით. მოპირკეთება შესრულდეს დეკორატიული ფერადი ბეტონით.

8. ტახტი-ტეფას ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის დაგეგმარება

ტახტი-ტეფას ბუნების ძეგლთან, ვფიქრობთ, მოეწყოს დასაჯდომი ადგილები ვიზიტორებისათვის. აქვე მოეწყობა ლოგო და მცირე ზომის ავტოსადგომი. ავტოსადგომთან განთავსდება საინფორმაციო დაფა ინფორმაციით ბუნების ძეგლის შესახებ.

9. უსახელოს მთის ინფრასტრუქტურის დაგეგმარება

უსახელოს მთასთან გათვალისწინებულია გადასახედი პლატფორმის მოწყობა. პლატფორმა შესრულდება კონსოლური ტიპის და ერთდროულად მოემსახურება 15-20 ვიზიტორს. მოსაპირკეთებლად გამოყენებულ იქნება ბუნებრივი მასალები.